თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2952265

ნომერი: AR1448311

თარიღი : 11.10.2016

გაცემის თარიღი : 18.11.2016

გაცნობის თარიღი : 18.11.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სარაჯიშვილი , N 7ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯამბული ქათამაძე პ/ნ 41001005773
- პ.სარაჯიშვილის 7ბ

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ სემდეგს:

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ მოწერილი წერილით და მითითებით დგინდება, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდითN 01.10.10.004.055) უნებართვოდ მოწყობილი იყო კაპიტალური შენობა-ნაგებობა, ავტოფარეხი კაპიტალური ღობე და ბაქანი.(მითითება გაცემულია 2016 წლის 17 აგვისტოს). ვინაიდან აღნიშნული სამუშაოები ეხება უნებართვოდ განხორციელებულ სამუშაოებს და თანაც განცხადების შინაარსის ტექსტურ ნაწილში აღნიშნულია , რომ მოხდა უნებართვოდ მოწყობილის დემონტაჟი , იმისათვის რომ სამსახურმა შეძლოს თქვენი საკითხის ხელახლა განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ,საჭიროა წარმოდგენილი იქნეს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოების შეწყვეტასთან და დარღვევის გამოსწორებასთან დაკავშირებით.

ასევე გაცნობებთ გაცნობებთ, რომ ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთზე ფიქსირდება 01.01.834 ხაზობრივი ნაგებობა მილსადენი, წარმოსადგენი გექნებათ ამ ხაზობრივი ნაგებობის მესაკუთრის თანხმობა წარმოდგენილი სქემით ღობის მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე.

გაითვალისწინეთ: თუ თქვენს მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდითN 01.10.10.004.055) და მის მიმდებარედ გამავალი ხაზობრივი ნაგებობა და მიწის ნაკვეთზე (საკ კოდით 01.10.10.004.052) გამავალი ნაგებობა ერთიდა იგივეა, რაც შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს წერილშია ასახული და მათ ბალანსზე რიცხული წყალსადენის დ-900 მმ.-მაგისტრალური ქსელია , ხოლო მიმდებარედ დ-1200 მმ. ქსელია, СНИП 11-89-84 თანახმად, წყალსადენის სანიტარული ზოლი ითვალისწინებს ყოველგვარი შენობა-ნაგენბობის წითელი ხაზების დაშორებას წყალსადენის ქსელიდან არანაკლებ 10 მეტრისა, ორივე მხრიდან.

აღნიშნულის გათვალისწინებით , ვინაიდან წყალსადენის სანიტარული ზოლი ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, სადაც დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, შემოღობვა და მრავალწლიანი ნარგავების გაშენება (იხ. დანართი შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს წერილი). აღნიშნულ შემთხვევაში სამსახური ვერ გაცემს ნებართვას ღობის მოწყობის განხორციელების თაობაზე.

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.